პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი, 6 ივლისი, 1943 წ. № 143 (6768). ფასი 20 კაპ.

ბურიატ-მონღოლეთის ასსრ რესპუბლიკის სახკომსაბჭოს საქ. კ. პ. (ბ) ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტს

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მიესალმებიან ბურიატ-მონღოლეთის მუშებს, კოლმეურნეებსა და ინტელიგენციას ბურიატ-მონღოლეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავის დღეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ბურიატ-მონღოლეთი, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილი განაპირა კუთხიდან, რომელსაც ულმობლად უწევდნენ ექსპლოატაციას მევახშეები, ხოიონები და მეფის მოხელეები, თავისუფალ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადაიქცა. ბურიატ-მონღოლმა ხალხმა დიდ წარმატებებს მიაღწია სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. რესპუბლიკაში შექმნილია თანამედროვე მრეწველობა და დიდად განვითარებული საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო მეურნეობა. გამოიზარდნენ საბჭოთა ინტელიგენციის—ინჟინრების, აგრონომების, მასწავლებლების, ექიმების ეროვნული კადრები. აყვავდა ბურიატ-მონღოლი ხალხის კულტურა.

სამამულო ომის დღეებში ბურიატ-მონღოლი ხალხის ერთგული შვილები წითელი არმიის რიგებში თავდადებით იცავენ საბჭოთა სამშობლოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. ბურიატ-მონღოლეთის მშრომელნი დაუღალავად მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებში და ეხმარებიან ფრონტს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამენ, რომ ბურიატ-მონღოლეთის მშრომელნი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად მოიხდიან წმიდა ვალს სამშობლოს წინაშე, მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების საქმეს.

გაუმარჯოს ბურიატ-მონღოლეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო — **საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი**

გვარდიის გენერალ-მაიორი
ნ. ტ. თავართქილაძე

გვარდიის გენერალ-მაიორ ნ. ტ. თავართქილაძის შეხვედრა საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებთან

გუშინ, 5 ივლისს, საქართველოს მწერალთა სასახლის დარბაზში შესდგა გვარდიის გენერალ-მაიორ ნ. ტ. თავართქილაძის შეხვედრა საქართველოს მწერლებთან და პოეტებთან, ხელოვნებისა და მეცნიერების მუშაკებთან.

შეხვედრისადმი მიძღვნილი სხდომა გახსნა საქ. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პ/მგ. მდივანმა, ორდენოსანმა პოეტმა ამხ. ი. აბაშიძემ.

სახელოვანი სტუმრისადმი მიმართული სიტყვებით გამოვიდნენ: მწერალი კ. გამსახურდია, აკადემიკოსი ს. ჯანაშია, მწერალი დ. შენგელაია, გვარდიის მაიორი ალეკსეი. ვი, პროფ. მ. თოიძე, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი რ. ქოჩარი, გვარდიის უმცროსი ლეიტენანტი ი. კოვრიჟკი. მსახიობი თამარ ჭავჭავაძე, პოეტი ს. ეული, რომელმაც წაიკითხა საკუთარი ლექსი—„სტალინგრადი“ და პოეტი გ. ლეონიძე, რომელმაც წაიკითხა გვარდიის გენერალ-მაიორ ნ. თავართქილაძისადმი მიძღვნილი თავისი ახალი ლექსი.

ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი სამამულო ომის სახელოვანი მონაწილის სახელოვან მხედართუფროსის, გვარდიის გენერალ-მაიორ ნ. ტ. თავართქილაძის გამოსვლას.

გვარდიის გენერალ-მაიორმა ნ. თავართქილაძემ დამსწრეთ გადასცა 6 გვარდიელი ნაწილის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა მხურვალე წითელარმიული სალამი. მან დამსწრეთ უამბო იმ საბრძოლო მეგობრობასა და თაგდადებაზე, რომელიც ახასიათებს ამ გვარდიული ნაწილის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს. იგი შეჩერდა სტალინგრადთან გერმანელ ფაშისტთა ჯარების დიდი დაჯგუფების ლიკვიდაციისთვის გამართულ შეტაკებათა ცალკეულ საბრძოლო ეპიზოდებზე და განაცხადა, რომ ისინი მომავალშიც ისე წარმატებით ანადგურებენ ჰიტლერელთა ურდოებს, როგორც გაანადგურეს ვოლგის ციხე-სიმაგრესთან — სტალინგრადთან.

შეხვედრა გადაიქცა ფრონტისა და ზურგის ერთიანობის, დიდი მხედართმთავრის — ამხანაგ სტალინისადმი ერთგულების მკაფიო დემონსტრაციად.

შეხვედრას დიდძალი ხალხი დაესწრო. სახელოვან სტუმარს გვარდიის გენერალ-მაიორ ნ. თავართქილაძეს და მასთან მყოფებს თაიგულები მიართვეს.

* * *

შეხვედრის შემდეგ გვარდიის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე და მასთან ჩამოსული სხვა გვარდიელი სტუმრები მიიწვიეს სახკინმრეწვში ფილმ „გიორგი სააკაძის“ მეორე სერიის განსახილველად.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

5 ივლისის დილის ცნობა

4 ივლისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავთა ჯგუფმა ფარულად შეაღწია მტრის განლაგებაში და გრანატები დაუშინა გერმანელებს, რომელნიც ერთ-ერთ სანგარში ისხდნენ. სხვა უბანზე გერმანელთა მზვერავმა რაზმმა სცადა შემოეღწია ჩვენი თავდაცვის წინა კიდეზე. მტრის მზვერავები დროზე იქნენ აღმოჩენილნი. ჩვენმა მებრძოლებმა ტყვიამფრქვევისა და შაშხანის ცეცხლით გაელიტეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი.

* * *

ბელგოროდის რაიონში მზვერავებმა გამოარკვიეს, რომ მტრის წინა კიდეზე თავს იყრიდა მტრის ქვეითი ჯარი იერიშის მოსატანად. ღამით გვარდიის ნაღმმტყორცნელთა ქვეგანაყოფმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინა და ზუსტად დაარტყა თავმოყრილ ჰიტლერელებს. მტერმა დიდი ზარალი ნახა. მისი იერიში ჩაიშალა.

* * *

ჩუგუევის ჩრდილოეთით მტრის ორი თვითმავალი ზარბაზანი უშენდა ჩვენს პოზიციებს. 6 ნაწილის არტილერისტებმა საპასუხო ცეცხლი გაიხალეს და მოსპეს მტრის ქვემეხები. სხვა უბანზე საბჭოთა ნაღმმტყორცნელებმა მოსპეს გერმანელთა 2 დაზგის ტყვიამფრქვევი და გაჩფანტეს ერთი ასეული ქვეითი ჯარი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ქვემეხის მეთაურმა უფროსმა სერჟანტმა ვერეშჩაგინმა ღამით სროლა აუტეხა მტრის მიწურ საცეცხლე წერტილს და ბლინდაჟებს. დილით მზვერავებმა მოიტანეს ცნობა, რომ არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 2 მიწური საცეცხლე წერტილი და 4 ბლინდაჟი. სხვა უბანზე 6 ქვეგანაყოფის საბრძოლო დაცვამ თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით გაჩფანტა გერმანელ მზვერავთა რაზმი, რომელიც ცდილობდა ჩვენი მავთულლობრის გადმოლახვას.

* * *

ლენინგრადის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი რამდენიმე დღის განმავლობაში გააფორებულ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელთა დიდი სადამსჯელო ექსპედიციის წინააღმდეგ. გერმანელთა ყოველგვარი ცდა—ალყა შემოერტყათ პარტიზანებისათვის და მოესპოთ ისინი—ჩაშალა. ცალკეულ დღეებში საბჭოთა პატრიოტები იგერიებდნენ მტრის რამდენიმე იერიშს და კონტრდარტყმებით უპასუხებდნენ მას. გერმანელებმა მარტო მოკლულთა სახით დაჭკარვეს 250 ჯარისკაცი და ოფიცერი და უკან დაიხიეს. ლენინგრადის სხვა რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადაგდო გერმანელთა სამხედრო ეშელონი. კატასტროფის დროს დაიმსხვრა ორთქლმავალი და 4 ვაგონი. პარტიზანთა სხვა ჯგუფმა გზატკეცილზე მოსპო მტრის მსუბუქი მანქანა. მოკლულია კონტრმზვერავი ჯგუფის მეთაური და მძიმედ დაჭრილია გერმანელთა საგანგებო სამსახურის ხელმძღვანელი.

* * *

ფრონტის ერთ-ერთ უბანზე ტყვედ წამოყვანილ იქნა რუმინელთა I ავიაგამანადგურებელი ფლოტილიის კაპიტანი ოქტავიანი. ტყვემ განაცხადა: „ომის ორი წლის განმავლობაში რუმინეთმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე დაჰკარგა თითქმის მთელი თავისი ავიაცია. მართალია, რუმინეთის სუპერი ძალების შემადგენლობაში ირიცხება 9 საავიაციო ფლოტილია, მაგრამ ესეი დაკომპლექტებულნი არ არიან თვითმფრინავებით. რუმინეთის ქარხნები უშვებენ მომვლელებული ტიპის თვითმფრინავებსა და მოტორებს, ამასთან სრულიად უმნიშვნელო რაოდენობით. რუმინეთის ავიაციის მომარაგება მატერიალური ნაწილით სავსებით დამოკიდებულია გერმანიაზე. გერმანელებს არა სურთ მოგვამარაგონ და აცალდებენ—ჩვენ თვითონ არ გვყოფნის თვითმფრინავებით. ისინი განაგრძობენ რუმინეთის გაპარტახებას და გაიქვთ ყველაფერი, რაც კი ღირებულებას წარმოადგენს. ხალხი მტრულად უყურებს გერმანელებს და ბრალს სდებს მათ ადამიანთა იმ უდიდეს ზარალში, რაც რუმინეთის არმიამ განიცადა. მოსახლეობის, აგრეთვე ჯარისკაცთა უდიდესი უმრავლესობა წინააღმდეგია გერმანიასთან კავშირისა და ომში რუმინეთის შემდგომი მონაწილეობისა“.

* * *

მარსელში ფრანგმა პატრიოტებმა ააფეთქეს გერმანელთა ყაზარმა. აფეთქებით მოკლული და დაჭრილია 80 ჰიტლერელი. ტულუზის მახლობლად თაიანუფალი მსროლელნი თავს დაესხნენ გერმანელთა ავტოკოლონას, მოჰკლეს 20 გერმანელი ჯარისკაცი და მოსპეს 11 ავტომანქანა ტვირთიანად. ზემო სავოიაში შეიარაღებულ ფრანგთა ჯგუფმა შეაღწია სამხედრო საწყობში, გაელიტა მცველები და ხელთ იგდო რამდენიმე ტყვიამფრქვევი. წამოსვლის წინ პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს საწყობს.

5 ივლისის საღამოს ცნობა

5 ივლისის დილიდან ჩვენი ჯარები ორიოლ-კურსკის და ბელგოროდის მიმართულებებზე შეუპოვარ ბრძოლებს ეწეოდნენ შეტევაზე გადმოსული მტრის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების წინააღმდეგ, რომლებსაც დიდძალი ავიაცია ეხმარებოდა. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულია მისთვის დიდი ზარალის მიყენებით და მხოლოდ ცალკეულ ადგილებში გერმანელთა მცირე რაზმებმა მოახერხეს უმნიშვნელოდ შემოჭრილიყვნენ სოლივით ჩვენს თავდაცვაში.

წინასწარი ცნობებით, ჩვენმა ჯარებმა ორიოლ-კურსკის და ბელგოროდის მიმართულებებით ბრძოლების ერთი დღის განმავლობაში დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა 586 ტანკი, სამაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 203 თვითმფრინავი.

ბრძოლები გრძელდება.

* * *

ორიოლ-კურსკის მიმართულებით 5 შენაერთის მებრძოლნი მოწინააღმდეგის გააფორებულ იერიშებს იგერიებდნენ. ერთ უბანზე გერმანელთა მცირე რაზმმა მოახერხა ნახევარ კილომეტრზე სოლივით შემოჭრილიყო ჩვენი თავდაცვის წინა კიდეში. არტილერიის კონცენტრირებული ცეცხლით და მსროლელი ნაწილების კონტრდარტყმით მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლა შეჩერებულია. სხვა უბნებზე გერმანელებმა თვითანთი ქვეითი ჯარის დასახმარებლად დიდძალი ტანკები და ავიაცია გამოიყენეს, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს. ჰიტლერელთა გააფორებული იერიშები მოგერიებულია. მოწინააღმდეგს მძიმე ზარალი მივაყენეთ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

* * *

ბელგოროდის რაიონში ჩვენი მოწინავე ნაწილები მძლავრი სარტილერიო-სანაღმტყორცნო და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეეხვდნენ შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგს. გააფორებული ბრძოლები გაჩაღდა საბჭოთა თავდაცვის წინა კიდის წინ. ჩვენი მებრძოლნი მედგრად იცავენ თავიანთ პოზიციებს და დიდ ზარალს აყენებენ გერმანელებს. 6 შენაერთის მებრძოლებმა დილით წარმოებულ ბრძოლებში 3.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაელიტეს, დასწვეს და დაახიანეს მტრის 128 ტანკი.

ერთი ჩვენი ნაწილის მფრინავებმა მოწინააღმდეგის ავიაციის იერიშის მოგერიების დროს გერმანელთა 62 თვითმფრინავი ჩამოაგდეს საჰაერო ბრძოლებში.

* * *

დასავლეთის ფრონტზე აქტიურად მოქმედებდნენ მზვერავთა ჯგუფები. მზვერავები ლეიტენანტ სიპატოის მეთაურობით მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგის პოზიციებს და გრანატები დააყარეს მტრის სანგრებს. სხვა უბანზე ჩვენმა მზვერავთა ჯგუფმა გადალახა რამდენიმე ნაღმიანი ველი და ხელჩართულ შეტაკებაში მოსპო გერმანელთა საბრძოლო დაცვა. მზვერავებმა ხელთ იგდეს ძვირფასი ცნობები მოწინააღმდეგის თავდაცვითი სისტემის შესახებ და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე ქვეგანაყოფმა, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ბელოუსოვი მეთაურობს, სწრაფად მიიტანა იერიში გერმანელებზე, რომელნიც გამაგრებული იყვნენ დასახლებულ პუნქტში. მტრის ჯარისკაცებმა, რომელთაც მოუმზადებელთ მიუსწრეს, იარაღი და სამხედრო ქონება მიატოვეს და უწესრიგოდ გაიქცნენ. საბჭოთა მებრძოლებმა მოსპეს 60 ჰიტლერელი და დაიკავეს დასახლებული პუნქტი. ტყვედ წამოყვანილია გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი. წამოტებულია დაგლა, რომელშიც არის 5 ტყვიამფრქვევი, 20.000 ვაზნა, 300 გრანატი, 2 რადიოსადგური და სხვა სამხედრო ქონება. ჩვენი მებრძოლნი ახალ პოზიციებზე გამაგრდნენ და წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის 3 კონტრიერიში.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით კანტიკუნტი საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლა იყო ორივე მხრიდან. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი, საარტილერიო ბატარეა და დაანგრიეს მოწინააღმდეგის 2 ბლინდაჟი. მზვერავთა ჯგუფმა კაპიტან ჟატეევის მეთაურობით იერიში მიიტანა გერმანელთა დასაყრდენ პუნქტზე. გაჩაღებულ შეტაკებაში მზვერავებმა მოჰკლეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი და ხელთ იგდეს ტყვეები.

* * *

კარელიის ფრონტზე 6 ქვეგანაყოფის მზვერავთა ჯგუფმა მოწინააღმდეგის ზურგში შეაღწია. დილაადრიანად ჩვენმა მებრძოლებმა საფარიდან სროლა აუტეხეს გზად მიმავალ მტრის კოლონას და მოსპეს 30-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

პინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა რამდენიმე დღის წინათ ააფეთქა მოწინააღმდეგის ფრონტზე მიმავალი ეშელონი. მოსპობილია დიდძალი აღჭურვილობა, 200 ყუთი საავიაციო მინა, დამსხვრეულია 5 ავტომანქანა, ორთქლმავალი, 30 ვაგონი და 3 პლატფორმა. მარცხის დროს მოკლულია რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი.

* * *

მოწინააღმდეგის მოკლულ და ტყვედ წამოყვანილ ჯარისკაცთათვის ნაპოვნი წერილები ერთგვარ წარმოდგენას იძლევა გერმანიის მოსახლეობის განწყობილების შესახებ. ჯარისკაც ბრონო ცშოკესთვის გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „ჩვენ ყველანი ერთი სურვილით ვართ გამსჭვალულნი—ნეტავი მალე დამთავრდეს ეს საშინელი ომი. ნერვები აღარ გვიძლებს“. ვინმე ჰაინრიხ ვოლფენი სწერს ჯარისკაც ნოვაის: „ახალ ამბავს გატყობინებ—ორშაბათს მე-6 და მე-7 კლასის მოსწავლეები გაწვეული არიან არმიაში. ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ მოუმწიფებელი ბაბუკები მოიკითხეს“.

* * *

გერმანელი ფაშისტი არამზადები განაგრძობენ სისხლისმღვრელ ბოროტმოქმედებას ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მშვიდობიანი მცხოვრებლების მიმართ. ვიტებსკის ოლქის სოფელ ბელაიას ტყეში ჰიტლერელებმა 86 მოხუცი, ქალი და ბავშვი დახვრიტეს. სოფელ სტარინაში გერმანელებმა ცოცხლივ დასწვეს 24 კოლმეურნე. ფაშისტმა არამზადებმა ამაივე სოფელში ჯაუპატიურეს რამდენიმე ქალიშვილი, ხოლო შემდეგ დახოცეს ისინი.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა რკინიგზის კვანძებზე გომელსა, უნეჩასა და როსლავლზე

4 ივლისს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძებს გომელს, უნეჩას და როსლავლს.

გომელის სარკინიგზო კვანძზე ძლიერ დაიბომბა მოწინააღმდეგის ეშელონები ჯარებითა და სამხედრო მასალით, ბომბები პირდაპირ მოხვდა ავრეთვე საწყობებს. დაბომბვის შედეგად გაჩნდა ხანძრის 13 კერა, რასაც ძლიერი აფეთქებანი ახლდა.

უნეჩის სარკინიგზო კვანძზე საბჭოთა მფრინავებმა დამიზნებით დაბომბეს მოწინააღმდეგის ეშელონები და საწყობები. თავდასხმის დაწყების რამდენიმე წუთის შემდეგ საწყობებსა და ეშელონებს ცეცხლი მოედო.

როსლავლის სარკინიგზო კვანძზე ფუფასური და ცეცხლგამჩენი ბომბები დავაყარეთ დამხარისხებელ და მიმღებ-გამგზავნ პარკებს, სადაც შემჩნეული იყო მოძრაობა შემადგენლობის დიდი თავმოყრა. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავის აეროდრომზე დაბრუნდა.

ბუნიატ-მონღოლეთის ასრ-ში ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ბიურო

ბუნიატ-მონღოლეთის ასრ-ის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის ბიურო ბოლო ხანებში განიხილავდა ბუნიატ-მონღოლეთის ასრ-ის ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული კულტურის, ეროვნული კადრების, ეროვნული ინტელიგენციის, ეროვნული ფერმერობის, ეროვნული ბანკის, ეროვნული ბიბლიოთეკის, ეროვნული ბიბლიოგრაფიის, ეროვნული ენციკლოპედიის, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონის, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონის, ეროვნული ენციკლოპედიური ლექსიკონ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 ივლისის დილის ცნობა

3 ივლისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა მზვერავმა ქვეგანაყოფმა ღამით გადალახა მოწინააღმდეგის ნაღმიანი მინდვრები და მავთულლობარები და გერმანელთა მოწინავე სანგრებში შეიჭრა. მზვერავებმა ავტომატების ცეცხლით და გრანატებით გაჟალატეს მტრის 60 ჯარიანაცი და ოფიცერი. ააფეთქეს 5 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ხელთ იგდეს დავლა და ტყვეები. ქვეგანაყოფმა შეაღწია მის წინაშე დასმული ამოცანა და თავდაპირველ ზეგუდებზე დაბრუნდა. სხვა უბანზე 5 ნაწილის არტილერისტებმა ააფეთქეს მოწინააღმდეგის სამარი მასალის საწყობი და მოსპეს სანაღმტყორცნო ბატარია.

* * *

სევსკის რაიონში მოწინააღმდეგის ორმა ჯგუფმა სცადა დაზვერვა მოეხდინა ბრძოლით. თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ ისე, რომ ჩვენს მავთულლობარებს ვერ მოაღწიეს.

ჩვენი საჰაერო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ბელგოროდის რაიონში 5 ნაწილის მზვერავებმა გაბედული თავდასხმა მოაწყეს მოწინააღმდეგის პოზიციებზე. მზვერავებმა ხელჩართულ შეტაკებაში გაჟალატეს 40-მდე გერმანელი ჯარისკაცი. შემდეგ კი ააფეთქეს 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი, სათვალთვალო პუნქტი და მიწური. ჩვენმა მებრძოლებმა წამოიყვანეს ტყვეები, წამოიღეს დავლა და მშვიდობით დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილში. სხვა უბანზე საბჭოთა არტილერისტებმა მოსპეს მტრის 3 ტყვიამფრქვევი, 2 ნაღმსატყორცნი და გაანადგურეს მოწინააღმდეგის ადალი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მზვერავი ჯგუფი, უფროს ლეიტენანტ ლავრუხინის ხელმძღვანელობით, ღამით მიეპარა მტრის ძელმიწურ საცეცხლე წერტილს. მზვერავებმა უხმაუროდ დახოცეს გუშაგები და ხელჩართულ შეტაკებაში გრანატებით მოსპეს მოწინააღმდეგის ჯარისკაცთა ჯგუფი.

* * *

ვოლხოვის ფრონტის ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითი ჯარის ასეულმა სცადა დაზვერა ჩვენი პოზიციები. ხანმოკლე შეტაკების შედეგად ჰიტლერელები უკუქცეულ იქნენ; მათ ბრძოლის ველზე დასტოვეს 50-მდე გვამი. სხვა უბანზე ჩვენმა არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 10 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 5 ბლინდაჟი. მოსპეს მოწინააღმდეგის 3 ქვემეხი და 4 ნაღმსატყორცნი. თოფის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის საჰაერო სათვალთვალო აეროსტატი.

* * *

უკრაინის რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა ამ უკანასკნელი ექვსი დღის განმავლობაში ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის 17 სამხედრო ეშელონი. მოსპობილია 14 ორთქლმავალი და 204 ვაგონი საომარ მასალიანად და სხვა სამხედრო ტვირთიანად. 25 ივნისს კოტოვსკის სახელობის რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა გერმანელთა მატარებელი ააფეთქა ნაღმებზე. მოსპობილია 7 ვაგონი მოწინააღმდეგის ჯარისკაცებიანად და ოფიცრებიანად.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა 112-ე ქვეითი დივიზიის 86-ე საარტილერიო პოლკის უნტერ-ოფიცერმა პეტერ განზენმა განაცხადა: „ამას წინათ ასეულის ვარჯიშის დროს ჩვენი ასეულის მეთაურმა ახსნა ფრონტზე ხანგრძლივი სიწყნარის მიზეზები. „ზამთრის ბრძოლების დროს,—სთქვა მან, — გერმანელთა არმიამ კოლოსალური ზარალი ნახა ადამიანებისა და ტექნიკის მხრივ. ტოტალური მობილიზაცია, რომელმაც ჯერჯერობით ისეთი შედეგები არ მოგვცა, რომლისაც მოველოდით, კვლავ გრძელდება. შეცვლილი სამარი ვითარების გამო მეტად სახიფათოა უკანასკნელი რეზერვების ბრძოლაში გამოყენება“. ასეთი განმარტება რომ მოისმინეს, ჯარისკაცები იმ დასკვნას დაადგნენ, რომ გერმანიის არმია კატასტროფას „უახლოვდება“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა საშინლად აწიოკეს სმოლენსკის ოლქის სოფელ ვისელკის მშვიდობიანი მოქალაქენი. 26 ივნისს „სს“-ელებმა მდელოზე მოუყარეს თავი სოფლის ყველა მცხოვრებთ, მათ შორის ქალებსა და მცირეწლოვან ბავშვებს. აქ ჰიტლერელმა ბანდიტებმა სანგრები გათხარეინეს მცხოვრებთ, შემდეგ მწკრივად დაიწყეს ისინი, ზურგით სანგრისაკენ შეაბრუნეს და ტყვიამფრქვევებით დახვრიტეს.

* * *

იუგოსლავიელი პარტიზანები ანგრევენ გერმანელ-იტალიელ ოკუპანტთა მიმოსვლის გზებს. სლავონიაში პატრიოტებმა გაანადგურეს 8 სარკინიგზო სადგური. სადგურ კლოკჩევაცისა და ოტლენცის ახლოს ააფეთქებულია რამდენიმე ასეული მტრი რკინიგზის ვაგონი. სადგურ მაიურეცსა და კოშარის შუა აფეთქებულია რკინიგზის 2 ხიდი. სხვა რაიონში პარტიზანებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა სამხედრო ეშელონი.

4 ივლისის საღამოს ცნობა

4 ივლისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენმა ავიაციამ ბარენცის ზღვაში ჩასძირა მტრის ტრანსპორტი.

გასულ კვირაში 27 ივნისიდან 3 ივლისამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 66 თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 18 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

2 ივლისს ღამით ჩვენი შორმოქმედი ავიაცია თავს დაესხა ტემრიუკისა და კერჩის ნავსადგურებს. ჩვენი ბომბდამშენების განსაკუთრებით ძლიერი იერიში განიცადეს მოწინააღმდეგის იმ გემებმა და თვითმავალმა კარჭაპებმა, რომლებიც ამ დროს ტემრიუკის ნავსადგურში იყვნენ. ჩვენი თვითმფრინავების ეკიპაჟებმა შეამჩნიეს დიდი ხანძრები და ძლიერი აფეთქებანი. ბომბების პირდაპირი მოხვედრებით ჩაძირულია მოწინააღმდეგის რამდენიმე გემი. ყველა ჩვენი თვითმფრინავი თავიანთ აეროდრომებზე დაბრუნდა

* * *

დასავლეთის ფრონტზე არტილერიის კანტიკუნტი სროლა იყო ორივე მხრიდან. ქვემეხთა მემიზნეებმა ამხ. ელოხინმა, გუმეინ და სისკოვმა მოსპეს გერმანელთა სანაღმტყორცნო ბატარია, დაანგრიეს მოწინააღმდეგის 6 ბლინდაჟი და 2 ძელმიწური საცეცხლე წერტი. 6 ნაწილის სნაიპერთა ჯგუფმა უმცროს სერჟანტ ზაიცევის მეთაურობით ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში გაჟალატა 218 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სერჟანტმა ამხ. ზაიცევმა მოსპო 32 ჰიტლერელი, უფროსმა სერჟანტმა ამხ. გლიამოვმა ამ უკანასკნელი 5 დღის განმავლობაში 9 გერმანელი ჯარისკაცი გაჟალატა.

* * *

კალინინის ფრონტის ერთ უბანზე მოწინააღმდეგემ კვლავ სცადა ბრძოლით დაებრუნებინა მაღლობი, რომელიც ჩვენმა გვარდიელებმა დაიკავეს ივნისის დამლეგს. ძლიერი საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ცეცხლის საფარქვეშ „სს“-ელთა სამმა ბატალიონმა შვიდი ტანკის დახმარებით იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლებმა ყველა სახის იარაღის ცეცხლი დაუშინეს მტერს და აიძულეს იგი უკან დაეხია. მალე გერმანელები კვლავ წამოვიდნენ იერიშზე, მაგრამ ჩვენი ქვეგანაყოფების კონტრდარტყმით ისევ უკუქცეულ იქნენ და დიდი ზარალი განიცადეს. ბრძოლის შედეგად დაზიანებულია გერმანელთა 4 ტანკი და მოსპობილია 800-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით ქვემეხის მეთაურმა ზემდეგმა ვოევოდსკიმ ღია პოზიციიდან დაშენილი ცეცხლით მოსპო გერმანელთა 3 ბლინდაჟი და ტყვიამფრქვევი გუნდიანად. სხვა უბანზე გვარდიის 6 ნაწილის ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლითი თავდასხმით მოსპეს საარტილერიო ბატარია, კაპიტანეულ და ნაწილობრივ გაჟალატეს მოწინააღმდეგის ერთი ასეულამდე ქვეითი ჯარი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 3 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენი ქვეგანაყოფების სნაიპერებმა 80 ჰიტლერელი გაჟალატეს. ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 16 ძელმიწური საცეცხლე წერტი, 8 სათვალთვალო პუნქტი და 25 სასროლო უჯრედი. ერთ უბანზე მზვერავებმა აღმოაჩინეს გერმანელთა ნაწილის შტაბის ადგილსამყოფელი. ბატარიამ, რომლის მეთაურიც არის უფროსი ლეიტენანტი ლაპტევი, ცეცხლი დაუშინა და დაანგრია სახლი, რომელშიც მოწინააღმდეგის შტაბი იყო მოთავსებული.

* * *

ვოლხოვის ფრონტზე კანტიკუნტი საარტილერიო-სანაღმმტყორცნო სროლა იყო ორივე მხრიდან. 6 ნაწილის არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი, სათვალთვალო პუნქტი, მოსპეს მოწინააღმდეგის 2 ქვემეხი, ნაღმსატყორცნი და 11 ტყვიამფრქვევი.

* * *

ბარანოვიჩის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა ჯარის ეშელონი. მარცხის შედეგად დაიმსხვრა ორთქლმავალი, 6 სამგზავრო ვაგონი და 2 პლატფორმა. მზვერავმა პარტიზანებმა გამოარკვიეს, რომ ვაგონების ნამსხვრევებიდან გამოუტანიათ თუ გამოუყვანიათ 256 მოკლული და დაჭრილი ჰიტლერელი. გზის ამ უბანზე მიმოსვლა რამდენიმე დღით შეჩერდა.

* * *

გერმანელთა 56-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა არტურ ი-მ, რომელიც წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა, განაცხადა: „მე დიდხანს ჩრდილოეთ აფრიკაში ვიყავი, რომელის შტაბთან არსებულ რაზმში. 1942 წლის ზაფხულში ჯარისკაცებს სერიოზულად სჯეროდათ, რომ რომმელის არმია შობამდე დაიკავებდა სუეცს, სირიას, ირანს, ერაყს და შეუერთდებოდა კავკასიაში მოქმედ გერმანელთა ჯარებს. მაგრამ მალე მთელი ეს ილუზია კვამლივით გაიფანტა. რუსებმა გაანადგურეს გერმანიის არმიები კავკასიასა და ყუბანში, ინგლისელებმაც ფართო შეტევითი ოპერაციები დაიწყეს. ჩვენ თითქმის ყველა თვითმფრინავი დავკარგეთ, ჯარისკაცებში პანიკა დაიწყო. მკვეთრად დაეცა დისციპლინა, გაზრდილა დეზერტირობისა და ინგლისელთა მხარეზე გადასვლის შემთხვევები. თებერვალში მე ავად გავხდი, გერმანიაში გამგზავნეს და ორ თვეზე მეტ ხანს მიუნხენის ჰოსპიტალში ვიწექი. ქალაქში დაეინებით დადიოდა ხმები, რომ ტუნისის ჩაბარებაში იტალიელები არიან დამნაშავენი. ამ ხმებს ავრცელებდნენ ნაციასტური პარტიის თანამდებობის პირნი და სახელმწიფო მოხელეები, რათა გაემართლებინათ გერმანიის ჯარების დაბარცხება ჩრდილოეთ აფრიკაში“.

გიორგი ლეონიძე

სამშობლოს გმირს

გვარდიის გენერალ-მაიორს, ნ. თავართქილაძეს

შენ შენი საქმე გადიდებს,
გმირული საქმე განთქმული,
გული გულადი, ფოლადი,
ძალი მტრის მკერდზე დაკრული!..
დონზედ, ვოლგაზედ ისმოდა
შენი ქართული ძახილი,
დაეხსომება მარადის
სტალინგრადს შენი სახელი!
არწივულ მოდგმის ვაჟკაცო,
შენ ეგრე უნდა გეომა,
კიდევ ადიდა სამშობლო
მარჯვენამ შემოქნეულმა!
შენ წინაპრებად გყოლია
ხალხისთვის შენაწირები,—
დიდგორ-შამქორის, მარაბდის,
კრწანის-ასპინძის გმირები.

6 ივლისი.

მათი ძვალ-სისხლით ყოფილა
სამშობლო ნაქვიტკირები.
შენ გააგრძელე ძველ გმირთა
ვაუკაცებური გზაკვალი
ოქროთი მოსაკედია
შენი გამზრდელი აკვანი!
დიდება შენს ღვაწლს დიდებულს,
ჩვენი მადლობის ვაშაცა,
ქართველი ქალის რძემ გზარდა,
სტალინმა დაგავაუკაცა!
გვასახელე და ვამაყობთ,
მტერს რომ ვაუკაცურ დაჭკარი;
გვასახელე და ვამაყობთ
გმირული ნაამაგარით.
ყველას მებრძოლის გული გვაქვს
შეუდრეკელი, მაგარი!

ფრანგ მფრინავებთან

მოწმენდილ ცაზე ორი თვითმფრინავის სილუეტები გამოჩნდა. უკვე შეიძლება შეენიშნოთ წითელი ვარსკვლავები „იაკოვლევის“ მარკის თვითმფრინავთა ცისფერ სიბრტყეებზე. თვითმფრინავები დიდ წრეს უვლიან აეროდრომის თავზე. ერთი მანქანა ვიარაყით განაგრძობს გზას საფრენოსნო მინდვრის გარშემო.

მანქანა გამოდის აეროდრომის შუაგულის თავზე, უმატებს გაზს და მკვეთრად მიისწრაფვის მაღლა, თითქოს გორაკზე ადისო. მაღლა ასული თვითმფრინავი უმაღლესი პილოტაჟის თავბრუდამხვევ ფიგურებს აკეთებს.

— ვინ არის ჰაერში—კითხულობს ავიაგამანადგურებელთა ესკადრილიის მეთაური კაპიტანი სიბირინი, თან თვალყურს ადევნებს მაღალი საფრენოსნო ოსტატობის რთული ფიგურების შესრულებას.

— ფრანგები,—გაისმის პასუხი რამდენიმე კაცისა, რომლენიც ისევე გულმოდგინედ ადევნებენ თვალყურს საჰაერო აკრობატიკას.

— ფაშისტი ჩამოუგდია!—დასასკვნის ერთ-ერთი მფრინავი.

როგორც წარმატებით დამთავრებული ლაშქრობიდან დაბრუნებული წყალქვეშა ნავი პირსთან გასროლით იტყობინება მტრის გემის დაღუპვას, ასევე მფრინავები უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებით აუწყებენ ამხანაგებს წარმატებით ჩატარებულ საჰაერო ბრძოლის ამბავს.

...ცოტა ხანს გასრიალება მინდორზე, და თვითმფრინავები ზედიზედ მიდიან თავის სადგომებთან არყის ხის ჯალის პირას, სადაც შენიღბულნი დგანან საფრონტო აეროდრომის სხვა მანქანები. ფრანგი მექანიკოსები მიაშურებენ ერთ-ერთ თვითმფრინავს, იხრებიან და ბოლოთი მაღლა სწევენ მას.

— ერთი-ი, ორი-ი, ასწი-ი-ით!—ხოროხიანი ხმით იძლევა განკარგულებას ერთი შთგანი და ყველანი ერთსულოვნად იმეორებენ სიტყვებს, მათ რომ მოეწონათ:

— ერთი-ი, ორი-ი, ასწი-ი-ით!

თვითმფრინავი ხელოვნურ ნიშნი იმალება.

მანქანის გამქვირვალე ხუფი გადაიწევა, და კაბინიდან გამოხტება მარჯვე, მოხდენილი მფრინავი, რომელსაც ტყავის მოკლე კურტაკი აცვია. ეს არის კაპიტანი ადოლფ ლიტოლფი—ფრანგთა ესკადრილია „ნორმანდიის“ მეთაურის მოადგილე, რომელიც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იბრძვის. ამავე აეროდრომზე მყოფი ესკადრილიის კაპიტანი სიბირინი მიდის მკავშირისთან და მორიგ გამარჯვებას ულოცავს მას. ფრანგი მადლობას ეუბნება და მიუთითებს თავის თანამეგზურეზე—ახალგაზრდა ლეიტენანტზე, რომელიც სხვა თვითმფრინავიდან გამოდის. იმასთან ერთად მან ახლა ჩამოაგდო გერმანელთა უახლესი ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190“.

ორივე თვითმფრინავის ფუზელაჟებზე ხუთქიმიან წითელ ვარსკვლავთან ერთად დახატულია სამი კონცენტრული წრე: ლურჯი, თეთრი და წითელი—ფრანგული ეროვნული კოკარდის ფერები. თვითმფრინავების ბორტზე ორ-ორი მწკრივი ფერადი წრეებია. ეს არის საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულ გერმანელ თვითმფრინავთა ნიშანი: თეთრი წრეები—პირადს ბრძოლაში ჩამოგდებულებისა, ყვითელი წრეები—ამხანაგებთან ერთად ბრძოლაში ჩამოგდებულებისა.

კაპიტან ლიტოლფის—საფრანგეთის ერთ-ერთი გამოჩენილი მფრინავის—თვითმფრინავზე ჩვენ დავითვალეთ ათი თეთრი წრე და ორი ყვითელი. უკანასკნელი გამარჯვება მას უფლებას აძლევს მიიხატოს კიდევ მესამე ყვითელი წრე.

— პირველად როდის შეხვდით გერმანელებს საჰაერო ბრძოლაში?

— 1939 წლის ნოემბერში საარბრიუკენში შევხვდი გერმანელთა თერთმეტ თვითმფრინავს, იერიში მივიტანე მათზე და ერთი მათგანი ჩამოვაგდე.

— რით დამთავრდა ბრძოლა?

— დანარჩენმა ათმა მე ჩამომაგდო,—ამბობს კაპიტანი, რაც მის გარშემო მყოფთა სიცილს იწვევს.

ახლა ფრანგთა ესკადრილიის მფრინავებმა გადაიღეს პროფესიით მათი რუსი თანამოძმეების გამოცდილება და ამჯობინებენ წყვილ-წყვილად იმუშაონ თავისუფალ ციბაში საჰაერო ნადირობისას. ისინი, ვინც სხვადასხვა ნაირი მანქანებით დაფრინავდნენ საფრანგეთის, ინგლისისა და ლიბიის ცაში, ფიქრობენ, რომ საბჭოთა „იაკები“ საუკეთესო მანქანებია, რომლებითაც კი ისინი გერმანელებს შეხვედრიან ჰაერში.

ფრანგები, რომელნიც შარშანდელი წლის სწორედ დამლეგს მოვიდნენ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე, ერთბაშად შეეჩვევნენ რუსულ ცხოვრებას და რუსულ საჰაერო ტაქტიკას.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავისი მუშაობა ამა წლის გაზაფხულზე ესკადრილია „ნორმანდიამ“ დაიწყო, როგორც თვითმფრინავებმა, რომელნიც ჩვენს მოპაკირე ბომბდამშენებს ახლდნენ. ფრანგები სიამაყით იგონებენ, რომ საბჭოთა ბომბოსნებს „პე-2“-ს მათი „პროტეჟირებისას“ არც ერთი დანაკარგი არა ჰქონიათ.

შვიდმა ფრანგმა მფრინავმა რუსეთის ცაში განაგრძო გამანადგურებელი თავიანთი ანგარიში გერმანელებთან. რუსეთის ფრონტზე მათ ჩამოაგდეს გერმანელთა 11 თვითმფრინავი: 5 უახლესი ავიაგამანადგურებელი „ფოკე-ვულფ-190“, ერთი ავიაგამანადგურებელი „მესერშმიტ-109-ფ“ და 5 მაკრიქტელი „ფოკე-ვულფ-189“ და „ჰენშელ-126“.

ფრანგი და საბჭოთა ავიაგამანადგურებლები, რომელთაც ბაზა ერთ აეროდრომში აქვთ, ერთმანეთს ქებით იხსენიებენ და ძალიან შეწყობილად ცხოვრობენ. თვალწარმტაც ტყეში, სადაც განლაგებულია აეროდრომის ბლინდაჟები, ხშირად შეიძლება შეეხვდეთ გაცხოველებით მოსაუბრე ჩვენი პილოტების და თავიანთი ეროვნული ფორმით—ცისფერი პილოტურებითა და გაჯსნილი მუნდირებით, ან ყავისფერი ტყავის ბლუზებითა და კურტაკებით გამოწყობილ ფრანგთა ჯგუფებს.

მოწმენდილ ამინდში ტყეში ჰაერზე საღილობის დროს ნორმანდიელები ჩამსდარი არიან რუს მფრინავთა შორის და თანდათანობით სწავლობენ რუსულ ენას, თან ერთმანეთს ეხუმრებიან.

ახლა ფრანგებს მოუვიდათ შევსება—მებრძოლი საფრანგეთის მფრინავების, ტექნიკოსების და მექანიკოსების ახალი ჯგუფი.

გამომშვიდობებისას ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ, რომ ფრანგებს მკერდზე, ხოლო ბევრ მათგანს ორდენის ჭრელ ლენტებს ზემოთ ერთნაირი ნიშნები აქვთ: ორი ოქროს ლომი წითელ ფარზე. ვეკითხებით ამ ნიშნის შესახებ; ჩვენ კითხვაზე ფრანგები განმარტებას გვაძლევენ:

— ეს ნორმანდიის დეპარტამენტის გერბია. ფაშისტების მიერ ჩვენი სამშობლოს ოკუპაციის შემდეგ ყოველმა ესკადრილიამ მიიღო საფრანგეთის ერთ-ერთი დეპარტამენტის სახელწოდება. ჩვენს ესკადრილიას „ნორმანდია“ დაერქვა. მაგრამ გერმანელები დიდხანს ვეღარ ითარეშებენ იქ. ჩვენ მალე დავბრუნდებით!

ე. კაპლანსკი

მოქმედი არმია, 3 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.).

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება

(„საქჩაის“ 1 ივლისის ცნობებით)

რაიონები	ივლისის გეგმის შესრულება მასის დანაკლისს ჩათვლით პროცენტებით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	რაიონები	ივლისის გეგმის შესრულება მასის დანაკლისს ჩათვლით პროცენტებით	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით
ბათუმი	103,1	40,8	წულუკიძე	98,5	41,9
ქობულეთი	102,4	40,2	ქუთაისი	110,2	47.3
გალი	121,4	44,4	წყალტუბო	132,6	50,3
ოჩამჩირე	86,6	37,4	ტყიბული	124,1	45,8
გულრიფში	105,5	43,3	ცხაკაია	105,2	43,2
სოხუმი	243,9	100	აბაშა	114,0	42,3
გუდაუთი	102,4	41,7	გეგეჭკორი	94,9	40,7
მახარაძე	100,4	39,4	ზუგდიდი	103,9	42,0
ჩოხატაური	101,1	40,2	წალენჯიხა	92,7	42,0
ლანჩხუთი	75,7	33,2	ჩხოროწყუ	71,9	36.6
სამტრედია	105,1	44,8	ხობი	59	34,8

ახალი ცნობების წარმოუდგენლობის გამო სუფსისა და მამათის (ლანჩხუთისა და ჭახარაძის რაიონები), ჩხოროწყუს (ჩხოროწყუს რაიონი), ჭალა-ფაფულანის (წალენჯიხის რაიონი) და ახალციხულის (ხობის რაიონი) ჩაჭაფაბრიკებიდან ცხრილში შეტანილია 25 ივნისის მაჩვენებლები.

გი დე-მოპასანი

(გარდაცვალებიდან 50 წლის შესრულების გამო)

გამოჩენილი ფრანგი მწერალი გი დე-მოპასანი, რომელიც დაიბადა 1850 წ. და გარდაიცვალა 1893 წელს, მოღვაწეობდა საფრანგეთისთვის დიდმნიშვნელოვან პერიოდში. მოპასანის შემოქმედებამ რეალური სიმართლითა ასახა მეცხრამეტე საუკუნის 70-80-იანი წლების საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრება.

ათიოდე წელს გაგრძელდა მწერლის ლიტერატურული მოღვაწეობა (1880-1893 წ. წ.) და ამ მოკლე ხნის განმავლობაში მან დაწერა 300 მოთხრობა და ნოველა, 6 რომანი, სამი ტომი მგზავრის წერილებისა, ერთი პიესა და მრავალი ნარკვევი და საგაზეთო წერილი. დამახასიათებელია, რომ ყველა ეს ნაწარმოები, გარდა ერთისა (რომანი „ცხოვრება“) დაწერილია მწერლის თანამედროვე თემაზე. თავისი ნაწარმოებებისათვის თემებს მწერალი სინამდვილეში ეძებდა. მაგრამ სინამდვილეს იგი იღებდა არა ფოტოგრაფიულად, „მხატვარმა-რეალისტმა,—სწერდა მოპასანი „პიერისა და ჟანის“ წინასიტყვაობაში, —ცხოვრების ბანალური ფოტოგრაფია კი არ უნდა მოგვცეს, არამედ მისი წარმოსახვა უფრო სრულქმნილად, უფრო წარმტაცად, უფრო დამაჯერებლად, ვიდრე თვით სინამდვილეა“.

მოპასანი ცნობილია, როგორც სიუჟეტის ოსტატი. ზოლა სამართლიანად სთვლიდა, რომ მოპასანს ყოველი ნოველა მასალაა მთელი რომანისათვის. და მართლაც მოპასანის პატარა ნოველები მკითხველს ხიბლავს გამოკვეთილი, კარგად დამუშავებული, საინტერესო სიუჟეტით, მოულოდნელი და ძლიერი ფინალით, საკითხის მწვავედ დასმითა და გადაჭრით.

პირველი ნაწარმოები, რომელიც მოპასანი გამოვიდა ლიტერატურაში და „ბუნებიანად“ ... ნაწარმოებში მწერალმა გვიჩვენა ფრანგ ბატონის სიძულვილი ... ფრანგ ... და საფრანგეთის დამპყრობელ პერიოდს შეეხება აგრეთვე მოპასანის მთელი რიგი მოთხრობები—„წმადა ანტონი“, „ველური“, „მდედუბელ ფიფი“, „ვალტერ შნაფსის თავგადასავალი“ და სხვ. ამ მოთხრობებში მოპასანი ერთის მხრივ ააშკარავებს გერმანელ დამპყრობთა ბარბაროსობას, და მეორე მხრივ გვიჩვენებს ხალხის სიძულვილს მტრისადმი. ისე, როგორც დღეს, გერმანელი ეანდალები მხეცობას სჩადიან დაპყრობილ საფრანგეთში. მათ გარს არტყია ხალხის სიძულვილი, მათთან სდევს შიში. მეძავი ქალიც კი უარს აცხადებს გერმანელებთან კავშირზე. წმიდა სიძულვილი გერმანელ დამპყრობთადმი, კიდევ უფრო საყვარელს ხდის მოპასანს თანამედროვე მკითხველისათვის.

გი დე-მოპასანი, რომლის ნაწარმოებები თარგმნილია თითქმის ყველა ენაზე, მართებულად სთვლიდა თავს საფრანგეთის დიდი რეალისტებისა—ბალზაკისა და ფლობერის მოწაფედ და მათი გზის განმგრძობად. ძმატვრულ ნაწარმოებებს იგი ისეთი ოსტატობით ჰყვეთდა, რომ პატარა მოთხრობის გამხნილმა ოსტატმა ა. ჩეხოვმა სთქვა: „მოპასანმა, როგორც მხატვარმა, ისეთი უბარბაბარი მოთხოვნილებები წამოაყენა, რომ მის შემდეგ ძველებურად წერა შეუძლებელ გახდა“. ფხიზელი თვალი, თანამედროვე მოღვაწეთა სწრაფი შეგრძნობა და მხატვრულად ასახვა, სინამდვილის წარმოსახვა დიდი უშალობით, სიმართლით, მაღალი ლიტერატურული ტექნიკა, მდიდარი მხატვრული რუსულობა, დაძაბული, სერიოზული შრომა—აი მოპასანის დამახასიათებელი თვისებები.

ზ. რიონელი

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XII სესია

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების XII სესია, რომელიც გახსნა აკად. კ. კეკელიძემ, მიძღვნილი იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის საკითხებისადმი.

სესიამ მოისმინა უფროს მეცნიერ თანამშრომელ ნ. მახარაძის მოხსენება თემაზე — „საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშები 1905-1907 წლების რევოლუციაში“. მომხსენებელმა ილაპარაკა საქართველოს სოფლის მეურნეობაში დაქირავებული შრომის წარმოშობაზე, შეეხო ძველი წესწყობილების დროს სოფლის მეურნეობის მუშების ეკონომიურ და უფლებრივ მდგომარეობას და განიხილა მათი როლი რევოლუციურ მოძრაობაში.

მ. დუმბაძემ თავის მოხსენებაში — „სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილებისა ეკონომიკა მეცხრამეტე საუკუნეში“ და უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა დ. გვრიტიშვილმა მოხსენებაში—„ჭანის საერისთავო მეთვრამეტე საუკუნეში (სათავადოს მართვა-გამგეობის წესი)“ განიხილეს ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხები. ამხ. მ. დუმბაძემ აღნიშნა, რომ სამეგრელოს სამთავროს რუსეთის მფარველობაში შესვლიდან (1803 წ.) ამ სამთავროს ლიკვიდაციამდე (1857 წ.) სამეგრელოში პოლიტიკური წყობილება ვითარდებოდა ძველი ქართული სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმების საფუძველზე. ამავე გვიანი ფეოდალური პერიოდისადმი იყო მიძღვნილი უფროს მეცნიერ თანამშრომლის ვ. გაბაშვილის მოხსენება — „სახელმწიფო წესწყობილების საკითხისათვის ვვიან ფეოდალურ საქართველოში“. მომხსენებელმა განიხილა იმ პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება, როცა საქართველოს ირანის შაჰის ვასალები განაგებდნენ. ამ პერიოდში ერთმანეთს ებრძოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის ორი სისტემა—ე. წ. ყიზილბაშური, დანერგილი ირანის მიერ, და ქართული, რომელსაც დარჩა საბოლოო გამარჯვება.

პროფ. ვ. დონდუამ თავის მოხსენებაში — „სამხედრო წყობილების საკითხისათვის მეთორმეტე საუკუნის საქართველოში“ განიხილა შამქორის (1195 წ.) და ბასიანის (1204 წ.) ბრძოლები და დაასკვნა, რომ მეთორმეტე საუკუნეში საქართველოში სამხედრო ორგანიზაცია და სამხედრო ხელოვნება მაღალ საფეხურზე იყო აყვანილი, რისი დამადასტურებელია ჯარების მანევრირების ტაქტიკის გამოყენება.

პროფ. ნ. ბერძენიშვილმა წაიკითხა მოხსენება—„ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან“. მან განიხილა უძველესი იურიდიული ტერმინები „ხელი“ და „დაწერილი“ და დასაბუთა მათი წარმოშობა ქრისტიანობამდელ პერიოდში. უდავოა, რომ უძველეს საქართველოში იყო წარმოშობილი ის იურიდიული აქტები, რომლებსაც ეს ტერმინები აღნიშნავდა. პროფ. ნ. ბერძენიშვილმა დაწვრილებით ილაპარაკა ამ იურიდიული აქტების შინაარსზე და იმ უფლებრივ ნორმებსა და მათ მატერიალურ გამოსახულებაზე, რაც მიწაზე კერძო საკუთრებასთან იყო დაკავშირებული.

აკად. ს. ჯანაშიამ მოხსენებაში—„ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის ისტორიიდან“ განიხილა საქართველოს სახელმწიფოების წარმოშობის ზოგიერთი ძირითადი საკითხი. მომხსენებელმა დააზუსტა ძველი კოლხიდის საზღვრები და ტერიტორია და დასაბუთა მისი მოსახლეობის ორგანული კავშირი ძველი ფეოდალური საქართველოს მოსახლეობასთან. მან დაასახელა ფაქტები და წყაროები, რომლებზე დაყრდნობითაც დაიწერება ძველი კოლხიდის ისტორია.

უფროს მეცნიერ თანამშრომელ შ. მესხის მოხსენებაში „ხელოსანური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხისათვის X-XIII საუკუნეების ქართულ მონასტრებში“ გაშუქებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხი მონასტრებში დაქირავებული შრომის შესახებ.

ვ. თოფურიძემ მოხსენებაში—„ქართველი მოღვაწეები ირანის კულტურულ ასპარეზზე მე-16-17 საუკუნეებში“ საინტერესო ცნობები დასახელა ქართველი მოღვაწეების შესახებ ირანში. კერძოდ, მან პირველმა გამოიკვლია ცნობები ირანის ლიტერატურის ექვს ქართველ მოღვაწეზე.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა ს. ჯანაშიამ, კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, პროფესორებმა ვ. თოფურიამ და შ. ამირანაშვილმა, დოცენტებმა ი. ცინცაძემ, ა. კოკინაძემ, ა. იოსელიანმა, მწერალმა კ